ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2485760

ნომერი: AR1385343

თარიღი : 10.03.2016

გაცემის თარიღი : 17.03.2016

გაცნობის თარიღი : 20.03.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაზისუბნის საცხოვრებელი რაიონის IIა მ/რ ჩრდილოეთით.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გელა ზარდიაშვილი პ/ნ 01011008818
- თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 43

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: I კლასს განეკუთვნება 60.0 კვ.მ.-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5.0 მეტრამდე

სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2.0 მეტრამდე ჩაღრმავების მქონე შენობა. იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო შენობა შედგება ორი სართულისაგან, რომელთაგან ერთი წარმოადგენს კედლებით შემოსაზღვრულ ფართს, ხოლო მეორე ღია ექსპლუატირებულ ტერასას, შენობას ვერ მიენიჭება I კლასის სტატუსი, ვინაიდან სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ფართობი გასცდება 60.0 კვ.მ.-ს. აღნიშნულის გათვალისწინებით, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია საკითხის I კლასის კუთხით განხილვის შესაძლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.